

ს.ს. ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური
უნივერსიტეტი

ისტორიის კვლევისა და სწავლების
მეთოდოლოგია ლაბორატორია

დავით სართანია

სამოქალაქო თვითშეგნების ფორმირების
საადმინისტრაციო-საგანმანათლებლო ამოცანები

თბილისი
2005

უაკ (UDC) 371+32 001
ს 286

ბროშურაში განხილულია საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარებისა და აღმშენებლობის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხის - დამოუკიდებელი ქვეყნის მოქალაქის ჩამოყალიბებისათვის საჭირო გზები და საშუალებები, რომელიც პირველ რიგში სწორედ საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ამოცანას წარმოადგენს.

რედაქტორი: ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი თამარ ბაკურაძე

რეცენზენტები: 1. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი გია ჯოხაძე
2. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
დოცენტი, გია ჩხიკვიშვილი

შესავალი

ახალი თაობის აღზრდისა და სათანადო ცოდნით აღჭურვის საკითხი ყოველთვის იყო და იქნება თითოეული საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების საგანი, მაგრამ ყოველი კონკრეტული საზოგადოება მას თავისი კონკრეტული ინტერესებიდან გამომდინარე უდგებოდა და მიუდგება. დღევანდელი ქართველი საზოგადოებაც ანალოგიური ამოცანის წინაშე დგას - განათლების სისტემის პრობლემები მოაგვაროს ისე, რომ მიღებული შედეგი შეესაბამებოდეს საქართველოს განვითარების თანამედროვე ასპექტებს და ხელს უწყობდეს მის მომავალ განვითარებას. ამ საქმეში ერთ-ერთი მთავარია ქვეყნის მოსახლეობის მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნების ჩამოყალიბება.

დღევანდელი ქართული საზოგადოება გარდამავალ ეტაპზე იმყოფება - გადადის საბჭოთა სისტემიდან დემოკრატიულ სისტემაზე. ეს კი ნიშნავს საქართველოს მოსახლეობის საბჭოთა მენატალიტეტის თანდათანობით დემოკრატიულით შეცვლის აუცილებლობას, რომელშიც თავისი დიდი წვლილის შეტანა შეუძლია სწორედ განათლების სისტემას. სწორედ განათლების სისტემის მეშვეობითაა ყველაზე მეტად შესაძლებელი, ერთის მხრივ, ახალი თაობის ახალი ფასეულობებით აღზრდა და, მეორეს მხრივ, ძველი თაობის შეხედულებებზე გარკვეული გავლენის მოხდენა. ეს პროცესი თვითდინებაზე რომ არ იყოს მიშვებული და სასურველი შედეგი დროზე რომ მივიღოთ, საჭიროა ამ მიმართულებით ფიქრი და კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა, რომლის დროსაც ძირითადი მიზანი იქნება თითოეული ადამიანის და საბოლოო ჯამში მთელი საზოგადოების მაქსიმალური კეთილდღეობის მიღწევა.

თუ როგორ დავაყენებთ და წარვმართავთ ახალი თაობის წარმომადგენელთა აღზრდას, სწორედ იმგვარ მოქალაქეს მივიღებთ. საბოლოო ჯამში სწორედ ამ ძალისხმევის სიდიდეზე და ეფექტურობაზე იქნება დამოკიდებული მშვიდობა, თანხმობა და კეთილდღეობა ხვალისდღელ საქართველოში.

ვინ განაპირობებს საზოგადოებრივ კეთილდღეობას?

საჭოთა პერიოდში სახელმწიფოს ცნება და არსი განიმარტებოდა, როგორც კლასობრივი ბრძოლის იარაღი ადამიანთა ერთი ჯგუფის მიერ დანარჩენთა ექსპლუატაციისათვის. აქედან გამომდინარე მიიჩნეოდა, რომ სახელმწიფოს არსებობა ხელს აძლევს მხოლოდ მოსახლეობის მცირე ნაწილს, რომელიც ექსპლუატაციას უწევს დანარჩენთ. სახელმწიფო ინსტიტუტი დაფუძნებულია ამ მცირე ნაწილის მიერ შექმნილ იძულებით აპარატზე, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ქვეყნის სავალდებულო წესების დაწესება თითოეული ადამიანისთვის და ამდენად, წესრიგის უზრუნველყოფა. სახელმწიფოს წარმოშობისა და მისი არსებობის შესახებ არსებული თეორიებს აქ არ გამოვეკიდები, აღვნიშნავ მხოლოდ, რომ გარკვეულწილად ეს ასეცაა, მაგრამ ამ დებულებაში სწორი არაა ის, რომ სახელმწიფოს არსებობა ხელს მარტო მოსახლეობის ერთ მცირე ნაწილს აძლევს, მოსახლეობის დანარჩენ წარმომადგე-

ნელთათვისაც მოაქვს მას სიკითე. ის სხვა საკითხია, კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე თითოეულ ადამიანს რა დოზით ერგებოდა ეს სიკითე - რამდენად იყო დაცული თანასწორობა და სამართლიანობა: ყმა-გლეხის და თავადის ურთიერთდამოკიდებულება არ იყო თანასწორი და ამდენად სამართლიანი, მაგრამ იმ პერიოდში ყმის მდგომარეობის გაუმჯობესება იმით შეიძლებოდა, რომ იგი გამხდარიყო თავადი და ვინმე სხვა კი ყმა. ყმისა და თავადის ფუნქცია ვიღაცას აუცილებლად უნდა შეესრულებინა. სხვაგვარად არსებობა ფაქტობრივად შეუძლებელი იყო.

სახელმწიფოს არსებობა გულისხმობს გარკვეულ სივრცეში, გარკვეული დროით, გარკვეული ადამიანების მიერ, გარკვეული სახის ქცევის წესების დაწესებასა და აღსრულებას. ხოლო ეს წესები შესაბამისობაშია საზოგადოებრივი განვითარების დონისა. რაც უფრო განვითარებულია საზოგადოება, როგორც ეკონომიკურად, ისე კულტურულად, მით უფრო თანასწორუფლებიანი და სამართლიანი ქცევის წესებია მოქმედებაში. ქცევის ამ წესებს კი ახორციელებს ხელისუფლება.

„ხელისუფლება შეიძლება განვსაზღვროთ როგორც ძალის კანონიერი გამოყენება - თავისუფლების აღკვეთისა და სიკვდილით დასჯის ჩათვლით - განსაზღვრულ ტერიტორიულ საზღვრებში ადამიანთა ქცევის კონტროლის მიზნით. ყველა ხელისუფლება თავისი მოქალაქეებისაგან მათივე მართვის პროცესში მოითხოვს თავისუფლების ნაწილის დათმობას. მაგრამ რატომ უქვემნდებარებენ ადამიანები საკუთარ თავისუფლებას ამ კონტროლს? ეს კეთდება იმ სარგებლობის მისაღებად, რომელიც ხელისუფლებას მოაქვს თავისი მიზნების განხორციელებით. კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე ხელისუფლება ორ მთავარ მიზანს ემსახურება - წესრიგის დაცვას (სიცოცხლის შენარჩუნება და ქონების დაცვა) და საზოგადოებრივი სიკეთის უზრუნველყოფას. მოგვიანებით ზოგიერთმა ხელისუფლებამ დაისახა მესამე მიზანიც - თანასწორობის უზრუნველყოფა»¹. (ხაზგასმა ყველგან ჩემია, დ.ს.)

ამდენად, კაცობრიობამ თავისი განვითარების კვალობაზე სახელმწიფოებრივი ინსტიტუტის ფუნქცია წესრიგის დაცვიდან თითოეული ადამიანისათვის თანასწორობის უზრუნველყოფამდე გააფართოვა. მაგრამ ამ უკანასკნელის დაცვა შეუძლებელია თუ კი ადამიანის ეროვნული ინტერესები უგულვებელყოფილია რომელიმე გაბატონებული ერის მიერ. სახელმწიფო ყოველთვის ყალიბდება მის შემქმნელთა მოთხოვნილებებისამებრ. ქართველმა ერმა თავისი სახელმწიფოებრიობა მრავალი ათეული საუკუნის წინ შექმნა და მის დასაცავად ანუ საკუთარი თვითმყოფადობის არსებობისათვის ბევრი ტანჯვა-წამება გამოირა.

საქართველო მოყოლებული 1801 წლიდან ჯერ რუსეთის და შემდეგ ისევ რუსეთის რეამინირებულ საბჭოთა იმპერიაში ძალით იყო შეყვანილი და მას მსოფლიო თანამეგობრობაში თავის კუთვნილი ხმა არ გააჩნდა. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ქართველ ერს სჭირდება საკუთარი ქვეყნის განვითარების საკუთარი შეხედულებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით წარსამართავად, მსოფლიო პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ პროცესებში დამოუკიდებლად მონაწილეობისათვის, საკუთარი იერსახის შესანარჩუნებლად და ახალი ფასეულობების საკუთარი შეხედულებებით შესაქმნელად. დამოუკიდებელი საქართველოს დაფუძნება თაობების ანდერძია, რომელიც ილია ჭავჭავაძემ შემდეგნაირად გამოხატა: «ჩვენი თავი

¹ ქენეთ ჯანდია, ჯეფრი მ. ბერი, კერი გოლდმენი, ამერიკული დემოკრატია, თბ., 1995, გვ.3

ჩვენადვე გვეყუდნეს»-ო. ამდენად, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ქონის სურვილი ნიშნავს კეთილდღეობის, საკუთარივე ძალისხმევითა და საკუთარი შეხედულებებისამებრ მოპოვებას. ეს კი თავისუფლების დიადი პრინციპის აღიარებაა.

დამოუკიდებელი საქართველოს წინაშე მრავალი პრობლემა დგას - სახელმწიფოებრიობის განმტკიცება, ეკონომიკის აღორძინება, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება, საზღვრების დაცვა დ.შ. ყოველივე ამას უზარმაზარი ენერჯია, შრომა და წვალემა სჭირდება. ვისთვის უნდა

გაკეთდეს ეს ყველაფერი? - ცხადია, საქართველოში მცხოვრებთათვის.

მაგრამ ვინ უნდა გააკეთოს ეს? ამ კითხვას მარტივი პასუხი არ გააჩნია, რადგან საქართველოში მცხოვრები ნებისმიერი ადამიანი ამას არ გააკეთებს. ამისათვის სათანადო სოციალ-კულტურული რესურსია საჭირო. ეს რესურსი კი არ შეიქმნება, თუ კი საქართველოში მცხოვრები ადამიანები თვისობრივად არ შეიცვლებიან - საქართველოში მოსახლე მექანიკური ერთობიდან არ გადაიქცევიან ორგანულ მთლიანობად, რომლებსაც ერთიანად შეაწუხებთ ქვეყნის სატკივარი, ერთნაირადვე გაირჯებიან ქვეყნისათვის და ერთნაირადვე ისარგებლებენ ქვეყნის სიკეთით. ასეთი ადამიანთა ერთობლიობის ჩამოყალიბების გარშე ვერცერთი ხელისუფლება ვერ შეასრულებს თავის ფუნქციას მხოლოდ ძალის გამოყენებით, იძულებით - ვერ დაიცავს წესრიგს, ვერ უზრუნველყოფს საზოგადოებრივ სიკეთეს და თანასწორობას. ხელისუფლება ყველგან პოლიციელს ვერ დააყენებს.² საქართველოსავით პატარა ქვეყანაა დანია, რომელსაც მხოლოდ 1700 პოლიციელი ჰყავს თურმე, საქართველოს კი ათეული ათასობით. ვითარება კი დანიაში იმდენად უკეთესია, რომ ერთმანეთთან შედარებაც არ შეიძლება

რამ მოგვცა ასეთი განსხვავებული შედეგი? ამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია ქვეყნის მოსახლეობის თითოეული წევრის მოქალქეობრივი თვითშეგნების დონეებს შორის განსხვავება, სადაც მაღალი სამოქალაქო თვითშეგნებაა, იქ სახელმწიფო იძულება საჭირო არაა. საკმარისია თითოეულმა ადამიანმა დაიცვას თავისი მოვალეობები, პატივი სცეს სხვის უფლებებს და არ მისცეს არავის საკუთარი უფლებების უგულვებელყოფის საშუალება, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად სახელმწიფო ორგანოების ძალისხმევის საჭიროება მინიმუმამდე დავა. ასე რომ სამოქალაქო თვითშეგნება არის საკუთარი და სხვისი უფლებებისა და მოვალეობების ცოდნა და მისი დაცვა,

² მაკონტროლებელთა სიმრავლე წესრიგს რომ ვერ ვერ უზრუნველყოფს, თავის დროზე კარგად გვითხრა ს.ს. ორბელინი შემდეგი იგავით: "ერთი მეპატრონე შევიდა მარანსა თვისსა ნახვად ღვინისა. ნახა ქვევრის პირასა ერთი ჯამი იდგა.

ჰკითხა მემარნესა:

- რად დგას ჯამი ესე აქა?

- მან მოახსენა: რაოდენჯერ შემოვალ, თითოს ამით ღვინოს შევსვამო.

ეწყინა მემარნესა და ეგრეთ თქვა: ჩემი ღვინო ამ კაცსა აუოხრებიაო. და ერთი კაცი სხვა დაუყენა თავსა, რომე მაგჩემს ამხანაგს მოუნდება, ახლა რომე დამიყენო». (ს.ს. ორბელიანი, სიბრძნე სიცრუისა, დავით გურამიშვილი, დავითიანი, თბ., 1977, გვ.91).

მაგიდენს ღვინოს ნუ ასმევო. მეორეზე რა შევიდა მარნად, ნახა ორი ჯამი იდგა ქვევრთან. ჰკითხა მემარნესა: ეს რა იყოსო? მან მოახსენა: ერთი ჩემია, რომელითა ვსცემო და მეორე.

ამდენად, ქვეყნისა და პირადი კეთილდღეობის გარანტი არის არა ხელისუფლება, არამედ მაღალი თვითშეგნების მქონე მოქალაქე. ეს მოქალაქე კი საზოგადოებამ უნდა აღზარდოს, ჩამოაყალიბოს.

რაში მდგომარეობს პრობლემის არსი?

თანამედროვე საქართველო თავისი განვითარების მორიგ ეტაპს გადის, რომელიც საკმაოდ მჭიდროდაა გადაჯაჭვული მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან. ამ პროცესებიდან განზე გადგომა ჩვენ არ შეგვიძლია, რადგან მათი ჩვენზე ზემოქმედება ჩვენს სურვილზე არაა დამოკიდებული. დღეს მთელს მსოფლიოში მეტად მძაფრი, მაგრამ უალტერნატივო დაპირისპირებაა სიახლესა და ყავლგასულს შორის, რომელიც ღია და დახურული საზოგადოებების, დემოკრატიული და ტოტალიტარული რეჟიმების, ადამიანის უფლებების დაცვისა და მის უგულვებელყოფას შორის დაპირისპირების არენადაა წარმოდგენილი. რაოდენ მრავალი ხარვეზი არ უნდა გააჩნდეს პირველს, იგი მაინც უფრო სამართლიანია და თანაც მომავლის მქონე. ამდენად, საქართველოც ჩართულია განახლებისა და ახალ პირობებში საკუთარი თვითდამკვიდრების ამ პროცესში, რომელსაც თითოეული ადამიანის კეთილდღეობის გარანტიების შემქმნელი დემოკრატიული საზოგადოება ეწოდება.

დემოკრატიული საზოგადოების საფუძველია ადამიანის უფლებათა პატივისცემა, რომელიც თავისთავად არ წარმოიქმნება. იგი სათანადო ცოდნის შეძენითა და შესაბამისი კულტურის გამომუშავებით - აღზრდით იბადება. ერთიც (ცოდნის შეძენა) და მეორეც (ამ კულტურის აღზრდა) ყველაზე უკეთ სასკოლო ასაკში და სკოლაში ხდება. რადგანაც სწორედ მაშინ ყალიბდება ცხოვრებისეული ფასეულობანი და თანდათანობით იძერწება ბავშვიდან მოქალაქე: სკოლაში ბავშვი შედის, სკოლადადამთავრებული კი საზოგადოების წევრი ხდება. ამდენად, სკოლას განსაკუთრებული ფუნქცია და დატვირთვა ჰქონდა, აქვს და ექნება. მით უმეტეს იგი უფრო საყურადღებოა იმ პირობებში, რომელშიც თანამედროვე საქართველო იმყოფება.

როგორც ცნობილია, სკოლას ორი ძირითადი ფუნქცია აქვს. იგი მოსწავლეს ერთი მხრივ, უნდა აძლევდეს ცოდნას ძირითადი მეცნიერებების საფუძვლების შესახებ, რომელთა ბაზაზე უმაღლეს სასწავლებელში ნებისმიერ მეცნიერების ათვისება და პროფესიისდაუფლება იქნება შესაძლებელი, მეორე მხრივ, კი უნდა აყალიბებდეს პიროვნებას დასრულებული მორალური, ესთეტიკური და მოქალაქეობრივი ჰაბიტუსისთ. ამდენად, სკოლა არ უნდა იყოს დოგმატურობის - ვიღაცა ძალიან ჭკვიანი და უცთომელი ბელადის ან წმინდანის, მოციქულის ან ნათელმხილველის მიერ ექვმიუტანელი დებულებების დაზუთხვის ადგილი³ მაგრამ ამასთანავე სკოლამ უნდა

³ ამ მხრივ საინტერესოა ცნობილი მეცნიერის ბერტრან რასელის აზრი: "მიამჩნია, რომ აღზრდის ძირითადი მიზანია ახალგაზრდებს გაუღვიძოს კითხვების დასმისა და შერურყევლად მიჩნეული ჭეშმარიტებების ეჭვქვეშ დაყენების გრძნობა. ეს აუცილებელია დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებისათვის. ცუდია, როცა აღზრდელი არ ცდილობს აღუძრას მისივე აღსაზრდელებს საყოველთაოდ მიღებული ჭეშმარიტებების განსჯა - ანალიზისაკენ მისწრაფება» (ვუთითებ სტატიიდან: ო. ალავიძე, სკოლა და ახალი პოლიტიკური რეალობები, ჟურნალი 'სკოლა და ცხოვრება', 1990. №5 გვ. 15). მართლაც, პედაგოგი ყველაზე უკეთ განუვითარებს ბავშვს მის ინტელექტუალურ უნარს თუ კი იგი მას ასწავლის

იზრუნოს რომ მოსწავლე არ ჩამოყალიბდეს ყველაფრისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულებით. მას კითხვის დასმისა და პასუხის ძიების წყურვილიც უნდა უჩნდებოდეს. სწორედ ამისთვის მოსწავლემ განათლებასთან ერთად სათანადო აღზრდაც უნდა მიიღოს.

ვფიქრობ, რომ ამ ამოცანის შესასრულებლად სასკოლო დისციპლინები ოპტიმალური რაოდენობით უნდა იყოს დადგენილი და თითოეულ მათგანს ზუსტად მოაზრებული ფუნქცია უნდა ეკისრებოდეს, რომლის განმსაზღვრელი სწორედ საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტია, მაგრამ მათი შექმნა იზოლირებულად კი არ უნდა ხდებოდეს, არამედ ერთობლივად - ზოგადი კონცეფციიდან გამომდინარე, რომ ყველა საგანი ურთიერთკავშირში ზუსტად ასრულებდეს მოსწავლის განათლებისა და აღზრდის ფუნქციებს. ამ მხრივ, ჩემი აზრით, მოსწავლეთა გადატვირთვა ბევრი საგნებით ნაკლებეფექტური იქნება, ვიდრე ზემოთხსენებული საგანთა პროგრამებიდან აუცილებლად საჭირო ინფორმაციათა დოზირებულად ინტეგრირებული საგნის მეშვეობით მიწოდება. რა თქმა უნდა, ეს არ უნდა იყოს ეკლექტიკური ოპერაცია, არამედ ღრმად გააზრებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირით შეკრულ მთლიანობას უნდა წარმოადგენდეს.

მრავალეროვანი და მრავალკონცეფსიური საქართველოს მოსახლეობის ერთიანობის დერძი სწორედ მოქალაქეობა შეიძლება

იყოს ერთიანი სახელმწიფოსი, რომელსაც საქართველო ჰქვია.

მოქალაქეობა არა როგორც მექანიკური მიკუთვნებულობა რომელიმე პოლიტიკური ერთეულისადმი, არამედ ორგანული კავშირის გრძნობა დანარჩენი თანამოქალაქეებისადმი, ტერიტორიისადმი, სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი და ატრიბუტებისადმი.

საქართველოში უნდა ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელი ქვეყნის მოქალაქის თვითშეგნება თავისი ცხოვრების წესითა და მრწამსით, თუ გვინდა რომ ქართველ ერს გვქონდეს საკუთარი დემოკრატიული და განვითარებული სახელმწიფო.

დღესდღეისობით საქართველოს მოქალაქეობა ფაქტობრივად ფორმალური აქტია, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტის ქონაში გამოიხატება, ხოლო ის, რომ მოქალაქეობა არის თვითშეგნება, როცა ადამიანი თავის ქცევებს ამყარებს საკუთარ უფლებებსა და მოვალეობების გათავისებაზე, თითქმის არ არსებობს. ამის მოწმობაა მთელი ჩვენი ყოფა ქუჩაში, ტრანსპორტში, ეზოში და ა.შ. მოქალაქე კი ხომ ის ადამიანია, რომელმაც იცის თავისი ადგილი საზოგადოებასა და სახელმწიფოში და მოქმედებს საკუთარი სახელმწიფოსა და მისი თანამოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინებით, პატივისცემით. ასევე იცავს ზოგადსაკაცობრიო იდეალებს. სავაგვარად რომ ვთქვათ, მოქალაქეობა მსოფლმხედველობაა, რწმენაა, რომელიც საფუძვლად უდევს ყოველგვარ საქმიანობას.

დიქტატურა აბსოლუტურ მორჩილებას მოითხოვს და მისთვის განათლების მაღალი დონე საჭირო არაა. მეტიც, საზიანოც კია. ტოტალიტარულ რეჟიმს განათლება ქობ-სამკითხველოების დონეზე სჭირდება, რათა მასამ გაზეთიდან მისთვის გამიზნული იდეოლოგიური საკენკი ამოკენკოს, ხოლო დემოკრატიის გავითარება განათლების

კითხვის სწორად დასმის უნარს და შემდეგ დაეხმარება იმ გზის გარბენაში, რომელიც მას ამ კითხვაზე პასუხს აპოვნინებს. ამ გზაზე კი, რა თქმა უნდა, პედაგოგს ბევრი რამის ახსნაც მოუწევს და ჩვენებაც.

გარეშე შეუძლებელია. დემოკრატიულ წესრიგს ხომ ღრმა ცოდნა სჭირდება - ცოდნა იმისა, თუ მოქალაქე რა უფლებებს ფლობს, რაზეა პასუხისმგებელი, აგრეთვე რა შეუძლია, რა უნდა გააკეთოს, რომ შეძლოს საკუთარი ინტერესების რეალიზება.

საერთოდ საზოგადოებაში მიმდინარე კარდინალური ცვლილებები განათლების სფეროს წინაშე ყოველთვის აყენებდა თავის მოთხოვნებს. მაგალითად: რუსეთში ბლშევიკების გამარჯვების შემდეგ განათლების სისტემას ამოცანად დაუსახეს კომუნნიზმის მშენებელი ე.წ. «ახალი ადამიანის» აღზრდა. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ იაპონიაში «სასურველი იაპონელის» აღზრდის იდეა წამოაყენეს. 1899 წ. ი. გოგებაშვილი საქართველოში მიმდინარე ცვლილებებთანდაკავშირებით მოითხოვდა «ახალი ტიპის ქართველის» აღზრდას⁴. დღეს მიმდინარე საზოგადოებრივი პროცესებიც მსგავს იდეას აყენებს თანამედროვე განათლების სისტემის წინაშე. ამ პროცესისადმი

გულგრილი დამოკიდებულებით კი მხოლოდ მედროვე «ახალი ქართველები» (რუსეთში გაჩენილი ახალი სოციალური ფენის «*новые русские*»-ს ქართული კალკი) ყალიბდებიან.

აღბათ, საეჭვო არ არის, რომ საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული გარდაქმნების პროცესი შეუქცევადია და ამდენად, ჩვენი ამოცანაა გარდამავალი პერიოდიდან სრულყოფილ საზოგადოების წევრთა განათლების, კერძოდ საზოგადოებრივი თვალსაზრისით სამოქალაქო განათლების სათანადო დონეზე დაყენება. სწორედ, სამოქალაქო განათლებამ უნდა უზრუნველყოს პიროვნების სოციალური ფიზიონომიის, მოქალაქის აღზრდა-ჩამოყალიბება, რაც ძირითადად სკოლამ უნდა იტვირთოს, საგანმანათლებლო პოლიტიკისა და სათანადო სპეციალური საგნის მეშვეობით. ეს უნდა იყოს ინტეგრირებული საგანი «მოქალაქეობათმცოდნეობა».

რას წარმოადგენს საგანი «მოქალაქეობათმცოდნეობა»?

შედგენილი სიტყვა «მოქალაქეთმცოდნეობა» მოქალაქის (მოქალაქეობის) არსის გაცნობიერებას გულისხმობს და ამდენად ამ ტერმინით მოზარებული საგანიც მოქალაქეობის არსის გადმოსაცემად და შესამეცნებად სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინათა ცოდნის ინტეგრირებას ვარაუდობს. ასე, რომ «მოქალაქეთმცოდნეობა»

⁴ "გოგებაშვილს, როგორც ახალი ცხოვრებისათვის მებრძოლ საზოგადო მოღვაწეს, მშვენივრად ესმის რომ ახალ ცხოვრებას ახალი ადამიანები შექმნიან. ასეთი ადამიანები ერთეულად მოიძებნებიან მის დროს, ხოლო საქართველოს მდომარეობა კი მწვავედ მოითხოვდა მათ სიმრავლეს. აქედან სრულიად ნათელი შეიქმნა გოგებაშვილისათვის, რომ ახალი ადამიანთა შექმნა უნდა ყოფილიყო მოწინავე საზოგადოებრივი აღზრდის და სწავლა-განათლების მიზანი. და მართლაც, 1899 წელს გოგებაშვილი მთელი შეგნებით და ენერგიით მოითხოვდა ისეთი განათლების სისტემისა და სასწავლებელთა ქსელის შექმნას, რომელთაც შეუძლიან 'გამოუზარდონ ქვეყანას ახალი ტიპის ქართველები'. ახალი ტიპის ქართველები, საერთოდ ახალი ტიპის ადამიანი, გოგებაშვილის აზრით, პირველ ყოვლისა, დიამეტრალურად უნდა ეწინააღმდეგებოდეს ძველი ტიპის ქართველს, ძველ ადამიანს. ის უნდა იყოს აღჭურვილი მაღალი ცოდნით და მტკიცე მორალით. მას უნდა შესწევდეს უნარი არსებული, როგორც თვით იაკობი წერს 'ავადმყოფური რეჟიმისა' და 'უკუღმართი ცხოვრების წინააღმდეგ' შეუპოვრად ბრძოლისა და ამავე დროს ახალი და საუკეთესო მერმისისათვის ბრძოლის თაოსნობისა» (გ. თავზიშვილი, ი. გოგებაშვილის პედაგოგიკა, წიგნი: იაკობის სამრეკლო, თბ. 1990, გვ. 43).

არ არის მეცნიერების დამოუკიდებელი დარგი. იგი მხოლოდ სასწავლო დისციპლინა უნდა გახდეს.

«მოქალაქეთმცოდნეობის» სუბიექტია კონკრეტული ადამიანი, რომელიც მას ინტერესებს მხოლოდ მისი მოქალაქეობიდან გამომდინარე:

- რას წარმოადგენს ადამიანი, როგორც მოქალაქე?
 - რა სჭირდება მას, როგორც მოქალაქეს?
 - რა უფლებები აქვს მას, როგორც მოქალაქეს?
 - რა ვალდებულებები გააჩნია და რაზე აგებს პასუხს, როგორც მოქალაქე და ა.შ.
- ამდენად, ადამიანი, როგორც მოქალაქე არის «მოქალაქეთ-მცოდნეობის» საგანი.

მოქალაქე რომელიმე ქვეყნის წარმომადგენელს ნიშნავს და ამდენად ადამიანის მოქალაქეობის სივრცე მისივე ქვეყნის საზღვრებით შემოიფარგლება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოქალაქეობის გაგება რომელიმე ქვეყნის ვიწრო პოლიტიკური მიზნებით იყოს შეზღუდული. ასე რომ იყოს მაშინ მოქალაქეობასა და ქვეშევრდომობას შორის დიდი სხვაობა არ იქნებოდა:

მოქალაქეობა დემოკრატიული უფლებების ქონას გულისხმობს, რომელიც მხოლოდ ქვეყნის პოლიტიკური სპექტრით არ განისაზღვრება, ქვეშევრდომობა კი სიუზერენისადმი დაქვემდებარებას და ქვეყნის წესების მისიით განპირობებულობას ვარაუდობს. მართალია, მოქალაქეობა პირველ რიგში პოლიტიკური ცნებაა, მაგრამ იგი ვერ წარმოიდგინება მორალური ასპექტების გარეშე, მოქალაქეობრივი თვითშეგნება სწორედ ეთიკური კატეგორიაა, რომლის გარეშეც პოლიტიკურ-სამართლერივი ნორმების დაცვა წარმოუდგენელია, რადგან მოქალაქეობა ეს საზოგადოებრივი ვალდებულებებისა და უფლებების გასიგრძეგანება და პასუხი-მგებლობის გრძნობის ქონაა.⁵ ასე, რომ თითოეული მოზარდის სრულფასოვან მოქალაქედ ჩამოყალიბება არის «მოქალაქეო-ბათმცოდნეობის» მიზანი.. ეს მიზანი განხორციელებულად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, როცა თითოეული პიროვნება ცხოვრობს საკუთარი ქვეყნის ინტერესების დაცვით, არ უგულვებელყოფს ეროვნულ, რელიგიურ, კულტურულ ფასეულობებს, იზრუნებს როგორც საკუთარ ოჯახზე, ისე გარშემომყოფებზე, გაუფრთხილდება ბუნებას, დაიცავს ადამიანის უფლებებს და ა.შ. ყოველივე ეს თითოეული პიროვნების მოქალაქეობრივი თვითშეგნების გამოხატულებაა. აქედან გამომდინარე თითოეულ ადამიანში მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გამოვლინების მზაობის აღზრდა არის «მოქალაქეობათმცოდნეობის» ამოცანა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე «მოქალაქეობათმცოდნეობის» სახელმძღვანელო აუცილებლად უნდა იყოს სხვადასხვა დისციპლინათა ინტეგრირებით შედგენილი კურსი. მასში, იდეალურ შემთხვევაში, თავი უნდა მოიყაროს ყველა ჰუმანიტარული საკითხების ასპექტებმა (და არა პრობლემებმა მთლიანად), მაგრამ მაინც ძირითადად ქართული სინამდვილიდან გამომდინარე შემდეგ დისციპლინებს უნდა დაეფუძნოს: სამართალს, ეთნოლოგიას, პოლიტოლოგიას, ეკონომიკას, ადამიანის

⁵ “Гражданственность - это конкретное социально-этическое понятие, в котором отражается наиболее важные и существенные стороны отношений между человеком (как гражданином) и государством, его членами” (Н.А. Головки, Нравственный мир молодого современника, М. 1997, ст. 18).

“Гражданственность - это корень убеждений, мыслей, чувств, поступков человека” (Сухомлинский В.А. Воспитанные гражданина, “Воспитание школьников, М. 1966, №1, ст.3).

უფლებებს. თუმცა მასში გარკვეულწილად უნდა აისახოს ისტორიის, სოციოლოგიის, სოციალური ფსიქოლოგიის, გეოგრაფიის, ეკოლოგიის, ეტიკეტის და ა.შ. ელემენტები. ყოველივე უნდა იყოს არა ეკლექტურად, არამედ მჭიდროდ შეკავშირებული მთლიანობა. სახელმძღვანელოს უნდა მსჭვალავდეს ორი ძირითადი მაგისტრალური ხაზი - ეროვნული (სახელმწიფოებრივი) - საქართველოს მოქალაქის უფლებამოსილებათა ზედმიწევნით ცოდნა, საქართველოს მოქალაქე-ბრიობის მკაფიო შეგნების ჩამოყალიბება და მეორე - ზოგადსაკაცობრიო - ადამიანის უფლებათა დაცვის აუცილებლობის შეგნებისა და საკაცობრიო ფასეულობათა პატივისცემის ფორმირება.

«მოქალაქეობათმცოდნეობის» დანიშნულებას, მოსწალემ გაითავისოს, რომ რაც კი ადამიანს გააჩნია. ადამიანის უფლებათა დეკლარაციის სწავლება დამოუკიდებლად, კონკრეტულ პოლიტიკურ, სამართლებრივ და კულტურულ გარემოსგან მოწყვეტით, სადაც პიროვნება ცხოვრობს, აბსტრაქტული თეორემების სწავლებას ემსგავსება. ამიტომ უმჯობესია მისი მთლიანად სამოქალაქო განათლების ფარგლებში მოქცევა და სამოქალაქო აღზრდის ინტეგრირებულ კურსში გაშლა.

საქართველოს სახელმწიფოს სპეციფიკიდან გამომდინარე, რომ ერთი მხრივ საქართველო მრავალეროვნული და მრავალკონცეფესიური ქვეყანაა, მეორე მხრივ, თავად ქართველი ერი რთული შინაგანი ეთნოსტრუქტურის მქონეა, რაც თავისებურ პრობლემებს ქმნის ხოლმე. ამ საკითხს სათანადო ყურადღების მიქცევა სჭირდება. ამ საკითხის მოგვარება სწორედ სკოლის კედლებშია შესაძლებელი. ეს არასასურველი ტენდენციები (ეროვნული, რელიგიური და კუთხური ნიშნით დაპირისპირება) ჯერ უნდა შერბილდეს და მერე თანდათანობით აღმოიფხვრას, ამიტომ აუცილებელია ამ მიმართებითაც აღმზრდელიობითი მუშაობის ჩატარება. ეს პირდაპირ ეხება საქართველოს მოქალაქის ფენომენს. საქართველოს მოქალაქემ უნდა იცოდეს თავისი ქვეყნის ეთნოკულტურული და ეთნოდემოგრაფიული ვითარების სურათი, ის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია, რამაც ყოველივე დღეს არსებული ტენდენციები (კარგიც და ცუდიც) შექმნა და ამ ცოდნიდან გამომდინარე შეძლოს ამაღლდეს საკუთარი ორლობის პატრიოტობიდან საერთო ეროვნულ (სახელმწიფოებრივ) ცნობიერებამდე. საკუთარი ქვეყნის ხალხური წეს-ჩვეულებების, ტრადიციების გარეშე არ არსებობს მოქალაქე. ერთ ქვეყანაში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების მოქალაქეები ერთმანეთის კულტურასა და წეს-ჩვეულებებს უნდა იცნობდნენ და პირველ რიგში ეს ეხება ძირითადი მოსახლეობის ყოფასა და კულტურას. ამიტომაც გარკვეული ეთნოლოგიური ხასიათის მასალა აუცილებლად უნდა იქცეს პედაგოგიური პროცესის შემადგენელ ელემენტად. საქართველოს მოქალაქე, განურჩევლად ეროვნებისა, რელიგიისა, კულტურისა ერთიანი უნდა იყოს, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვაში, ისე საქართველოს ინტერესების გატარებაში. საბოლოო ჯამში საქართველოს მოქალაქეს უნდა ჰქონდეს ერთგვაროვანი მოქალაქეობრივი თვითშეგნება და კულტურული სახე, რაც გამოხატული იქნება სახელმწიფო ენის ცოდნაში და ქართული კულტურული ტრადიციების მიღებაში.

«მოქალაქეობათმცოდნეობის» ერთ-ერთი მთავარი ელემენტი პოლიტიკურ საკითხებში ორიენტირების საფუძვლების მომზადებაც უნდა იყოს. სამწუხაროდ მასთან გადაჯაჭვულია იდეოლოგიისა და რელიგიის საკითხები. ერთნი ამტკიცებენ, რომ საქართველოს არ გააჩნია «სახელმწიფო იდეოლოგია», რომელიც ყველას გააერთიანებდა

და მის შექმნას მოითხოვენ. მეორენი გადარჩენის ერთადერთ გარანტიად მართლმადიდებლობას მიიჩნევენ და ყველაფერს მისადმი დაქვემდებარებას უჭერენ მხარს. ყოველივე ამას გარკვეული გავლენა აქვს სასკოლო ცხოვრებაშიც. ვფიქრობ ეს გაურკვევლობა უნდა გადაიჭრას. წინააღმდეგ შემთხვევაში «მოქალაქეობათმცოდნეობა» დეკლარაციულ ჩარჩოებს ვერ გასცილდება.

«სახელმწიფო იდეოლოგიის» მოსურნენი ნებისით თუ უნებლიეთ საბჭოთა კლიშეებს ემორჩილებიან. «სახელმწიფო იდეოლოგიის» არსებობა მხოლოდ ერთპარტიული სისტემის არსებობითაა შესაძლებელი, როცა პარტიული აპარატი სახელმწიფო აპარატს აკონტროლებს და თავად განაგებს ქვეყანას. ანალოგიურად პარტიული იდეოლოგია ერთადერთ და უცდომელ მოძღვრებად ცხადდება და მისადმი ერთგულება სავალდებულოდაა გამოცხადებული, ხოლო მრავალპარტიულ საზოგადოებაში «სახელმწიფო იდეოლოგიის» არსებობა შეუძლებელია, რადგანაც ქვეყანა იმართება არჩევნებში ხალხის მიერ ნდობაგამოცხადებული რომელიმე პარტიის მიერ. ეს უკანასკნელი კი ქვეყნას მართავს სწორედ საკუთარი იდეოლოგიის მიხედვით. ქვეყნის მართვაში კი პარტიები ერთმანეთს ენაცვლებიან და ამისდაკვალობაზე ყოველთვის იცვლება მთავრობასთან, სახელმწიფო აპარატისაგან წამოსული იდეოლოგიური დებულებები. თუ მაინც ვილაპარაკებთ ზეპარტიულ, საერთო ეროვნულ პრინციპებზე, იგი მოცემულია თითოეული ქვეყნის კონსტიტუციაში და მოქმედ კანონმდებლობაში. სწორედ კონსტიტუციაშია მოცემული ის დებულებები, რომლითაც მჟღავნდება ქვეყანა დემოკრატიულია თუ ტოტალიტარული. კონსტიტუციის დებულების დაცვა კი არის სწორედ ზეპარტიული, საერთოეროვნული სახელმწიფო ორიენტირი.⁶

«მოქალაქეობათმცოდნეობამ» მოსწავლეს უნდა დაუხასიათოს სხვადასხვა პოლიტიკური რეჟიმები და აჩვენოს დემოკრატიულობის უპირატესობა თავის ნაკლოვანებებთან ერთად. ესეც გარკვეული სახის იდეოლოგიაა, მაგრამ უკვე საგანმანათლებლო და არა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური. აი რას წერს ზ. ცუცქირიძე თავის წიგნში: “როგორც ცნობილია, დიდხანს ჭეშმარიტებად ითვლებოდა ვ.ი. ლენინის დებულება იმის თაობაზე, რომ თითქოს “სკოლა პოლიტიკის გარეშე სიცრუე და ორპირობაა”. ეს რა თქმა უნდა ასე არ არის და არც შეიძლება იყოს. სკოლა პირველყოფლისა, საგანმანათლებლო დაწესებულებაა და სწორედაც რომ პოლიტიკის გარეშე უნდა იდგეს იგი. ახლა, ამ დებულებას რომ ებრძვიან (და სავსებით სამართლიანადაც), ხშირად ისმის დეიდეოლოგიზაციის მოთხოვნაც, რაც არსებითად არასწორია. სკოლა ყოველთვის იყო და იქნება გარკვეული იდეოლოგიის მატარებელი,

⁶ აი, რას წერს ვლადლავ ჰაველი ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების მერე: “ჩვენს სახელმწიფოს არა აქვს არავითარი იდეოლოგია. ერთადერთი იდეა, რომელსაც სურს მისდიოს თავის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, არის იდეა ადამიანის უფლებების დაცვისა - ამ სიტყვის უფართოესი მნიშვნელობით - და პატივისცემა ადამიანური ყოფის განუმეორებლობისა. ჩვენმა პარლამენტმა მრავალ სხვა კანონებთან ერთად, მიიღო რამდენიმე მნიშვნელოვანი კანონი, რომლის მიზანიცაა, შესაძლებელი გახადოს, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა და ადამიანის შრომას კვლავ აზრი მიანიჭოს. ვამზადებთ ჩვენი ფედერაციისა და ორივე ეროვნული რესპუბლიკის დემოკრატიულ კონსტიტუციებს. გვსურს, ბოლოს და ბოლოს, მივცეთ სრული სახელმწიფოებრივი სახე ჩვენი ორი ერის თვითმყოფადობას და უზრუნველვყოთ ეროვნული უმცირესობის კოლექტიური უფლებები. ჩვენ თავს ვგრძნობთ სუვერენულ სახელმწიფოდ, გვსურს მეგობრული ურთიერთობა მთელი მსოფლიოს ხალხებთან, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში მზად ვართ, დავიცვათ ჩვენი სუვერენიტეტი» (ვ. ჰაველი, დროის უეცარი აჩქარება, გაზ. ”ლიტერატურული საქართველო» 1990, 27 ივლისი)

რადგან ადამიანთა გარკვეული საზოგადოება, ჯგუფი და ცალკეული ინდივიდი ყოველთვის მიეკუთვნება ამა თუ იმ იდეოლოგიურ სისტემას. სხვა საქმეა ის, რომ ერთი რომელიმე იდეოლოგიის აბსოლუტური გაბატონება არ შეიძლება, რადგან იგი კვლავ პოლიტიკიზებულ საზოგადოებრივ სისტემამდე მიგვიყვანს.”⁷

ჩვენი საზოგადოება რომ კვლავ არ მოვიდეს პოლიტიკიზებულ საზოგადოებრივ სისტემამდე, საჭიროა სამოქალაქო აღზრდისა და განათლების სფეროში ამ საკითხებმა შესაბამისი ადგილი დაიჭიროს. მოვიყვან კიდევ ერთ ციტატას:“ ნებისმიერი სახელმწიფო ისეთი მოქალაქეების აღზრდით არის დაინტერესებული, რომელიც სახელმწიფო წყობას მაქსიმალურად გამოადგება. ტოტალიტარული რეჟიმი სამოქალაქო აღზრდას თავისივე იდეოლოგიას უქვემდებარებს. თავისუფალ ქვეყანაში კი, სადაც იმდენივე პოლიტიკური იდეოლოგიაა, რამდენიც პოლიტიკური პარტია მოქმედებს, სამოქალაქო აღზრდას სრულიად სხვა მიზნები აქვს. ტოტალიტარული რეჟიმი მოქალაქეებს არჩევანის გარეშე ტოვებს, რადგან არწმუნებს მათ, რომ ყველაფერი საუკეთესო მხოლოდ მოცემულ რეჟიმშია თავმოყრილი, მაშინ როცა თავისუფალ ქვეყანაში მოქალაქეები არჩევანის წინაშე დგებიან. ისინი ირჩევენ თავისი ცხოვრების გზას და ამავე დროს არჩევნების, რეფერენდუმების, პლემისციტების და საზოგადოებრივი აზრის საშუალებებით გამოხატავენ საკუთარ ნებას, რითაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ თავისი ქვეყნის განვითარების გზასაც. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენად კომპეტენტურნი იქნებიან მოქალაქეები

თავიანთი ნების გამოხატვისას, ვთქვათ, არჩევნების დროს ხმებისმიცემისას: რაც მეტი კომპეტენტური ამომრჩეველი ეყოლება ქვეყანას, მით უფრო მეტია შანსი, რომ ეს ქვეყანა სწორი და გონივრული პოლიტიკური მმართველობის ქვეშ იქნება და შესაბამისად, საყოველთაო კეთილდღეობის გზით განვითარდება. ამდენად, სამოქალაქო აღზრდის უმთავრესი ამოცანაა კომპეტენტური მოქალაქეების აღზრდა”⁸.

ადამიანის უფლებათა დარღვევაა, როცა ადამიანეს კიცხავენ მათი რელიგიური მრწამსის გამო და მათი აზრით ერთადერთი ჭეშმარიტი რწმენის აღიერებას სთხოვენ. პირველ რიგში თავად საქართველოს სახელმწიფოა ვალდებული დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია, სადაც რელიგიური ნიშნით მოსახლეობის დაყოფა დაშვებული არაა. პირიქით აღიარებულია ყველა კონფესიის თანასწორობა. ყოველივე ამის დაცვა კი ნიშნავს ყოველგვარი კონფესიური დავებისაგან თავის შორს დაჭერას და ამით არასახელმწიფოებრივ, არამედ კორპორაციულ მოვლენად მიჩნევას. აქედან გამომდინარე არც სკოლა უნდა გახდეს რელიგიური დავის ობიექტი. პირიქით სკოლა მოწოდებულია იყოს მეცნიერების დაუფლების პირველადი კერა. ამიტომაც, რელიგიური ცნობიერების ჩამოყალიბებაში სკოლა არ უნდა მონაწილეობდეს. იგი ეკლესიის საქმეა რომელსაც თავისი მრევლის საშუალებით ახორციელებს; გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ რელიგია დღევანდელ საქართველოში გამაერთიანებელი ფაქტორი აღარ არის, პირიქით ეს ფაქტორი საზოგადოების დაცალკევებას უფრო ახდენს, ამიტომაც თანამედროვე ვითარების გათვალისწინებით ამ საკითხის წარმართვისათვის განათლების მესვეურებმა უნდა გაითვალისწინონ იგ.

⁷ ზ. ცუცქირიძე, ლექციების კურსი პედაგოგიკაში, I ნაწილი, (აღზრდის თეორია), თბ., 1997. გვ.5

⁸ ზ. კიკვიძე. თ. მეიფარიანი, ი. ჯალაღონია, “სამოქალაქო აღზრდა», 1998, №1. გვ.4

ჯავახიშვილის მიერ ქართული უნივერსიტეტის დაარსების ისტორია. მაშინაც დადგა საკითხი ღვთისმეტყველების ფაკულტეტის დაარსებისა. ივ. ჯავახიშვილმა კი, რომ “ამირთ ვიწრო და ცალმხრივი მიმართულება არ მიეღო სარწმუნოების მეცნიერების შესწავლას” გადაწყვიტა ცალკე რელიგიის ისტორიის სპეციალობის შექმნა, სადაც ქრისტიანობასთან ერთად სხვა რელიგიებსაც ასწავლიდნენ⁹. ეს ის ივანე ჯავახიშვილია, რომელსაც ძალიან კარგად ესმოდა ქრისტიანული რელიგიის როლი და მნიშვნელობა ქართველი ერის ისტორიაში: ქართველი ერის ძირითადი ზნეობრივი შეხედულება სახარების მოძღვრებაზე იყო დაფუძნებული¹⁰. ეს ის ივანე ჯავახიშვილია, რომელსაც თავისი წვლილი აქვს შეტანილი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საქმეში¹¹. ყოველივე ეს ჩვენც უნდა გავითვალისწინოთ და რელიგიის საკითხები “მოქალაქეთმცოდნეობის” სახემძღვანელოში სათანადოდ უნდა აისახოს.

ადამიანის უფლებებელი პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოს პოლიტიკურ რეჟიმთან და მის სამართლებრივ სისტემასთან. მოქალაქის არზრდა შეუძლებელია სამართლებრივი და ზნეობრივი კულტურის ჩამოუყალიბებლად. იურიდიული და ეთიკური ფასეულობები მოქალაქეობრიობის არსში ერთიანდებიან, რადგან მოქალაქე წარმოუდგენელია სოციალური ნორმების დაცვის გარეშე, იქნება ეს ოფიციალური კანონმდებლობის მოთხოვნა თუ საზოგადოებრივი ქცევის გამოვლენა. ამიტომ მოსწავლეს გარკვეული მოცულობით უნდა მიეწოდოს პოლიტიკური და სამართლებრივი საფუძვლების ზოგადი დახასიათება და შემდეგ გაეცნოს საქართველოს პოლიტიკურ-სამართლებრივ ვითარებს. ამ ინფორმაციით მოსწავლეს გარკვეული შეხედულება უნდა შეექმნას მის სახელმწიფოზე, მის პერსპექტივაზე, სიმწელებზე, იმ ალტერნატივაზე, რომლის წინაშეც ყოველთვის დგას მისი ქვეყანა და პიროვნებაც დემოკრატიული პროცესების განვითარების კვალობაზე, იმ არჩევანზე, რომელიც მან უნდა გააკეთოს არჩევნებზე, იმ საქმიანობაზე, რომელიც მას სურს განახორციელოს და ამ პროცესში არ დაარღვიოს ქვეყნის კანონმდებლობა, პირიქით, ყოველგვარი სურვილი აისრულოს კანონმდებლობის დაცვითა და გამოყენებით. მაგრამ სოციალური ნორმები ყოველთვის არაა ასახული კანონმდებლობაში. ბევრი მათგანი დაუწერელი სახით არსებობს, რომლებიც ტრადიციის მეშვეობით თაობიდან თაობას გადაეცემა. ამ ტრადიციული ნორმებით ანუ ეტიკეტით მოცემული ერის ფასეულობანი გადმოიცემა. ამიტომაც საჭიროა ტრადიციული და საერთაშორისო ეტიკეტის გარკვეულწილად “მოქალაქეობათ-მცოდნეობის” კურსში ჩართვა.

ადამიანის ბედნიერება რომ სრულფასოვანი იყოს, მას ამისათვის გარჯა უწევს, რომ შექმნას ის, რაც არ გააჩნია. ამიტომ ადამიანის სხვა ადამიანებთან კავშირი გარკვეულწილად ეს არის მატერიალური დოვლათის საწარმოებლად გაერთიანებული აუცილებლობა. ასე რომ, როგორც ცნობილია, ადამიანი საწარმოო ურთიერთობისა და წარმოების შემქმნელი არსებაა. სწორედ შრომითი ურთიერთობაა ადამიანთა საზოგადოების ერთ-ერთი ქვაკუთხედი. რა უნდა გააკეთოს, როგორ უნდა გააკეთოს, ვისთან ერთად უნდა გააკეთოს და ა.შ. ადამიანმა, საქმეში. ყოველივე ეს ჩვენც უნდა

⁹ ს. ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1984, გვ. 225

¹⁰ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, თბ. ტ. VII. თბ. 1984, გვ. 28

¹¹ ს. ჯორბენაძე, გვ. 185

გავითვალისწინოთ და რელიგიის საკითხები “მოქალაქეთმცოდნეობის” სახემძღვანელოში სათანადოდ უნდა აისახოს.

ადამიანის უფლებებელი პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოს პოლიტიკურ რეჟიმთან და მის სამართლებრივ სისტემასთან. მოქალაქის არზრდა შეუძლებელია სამართლებრივი და ზნეობრივი კულტურის ჩამოუყალიბებლად. იურიდიული და ეთიკური ფასეულობები მოქალაქეობრიობის არსში ერთიანდებიან, რადგან მოქალაქე წარმოდგენელია სოციალური ნორმების დაცვის გარეშე, იქნება ეს ოფიციალური კანონმდებლობის მოთხოვნა თუ საზოგადოებრივი ქცევის გამოვლენა. ამიტომ მოსწავლეს გარკვეული მოცულობით უნდა მიეწოდოს პოლიტიკური და სამართლებრივი საფუძვლების ზოგადი დახასიათება და შემდეგ გაეცნოს საქართველოს პოლიტიკურ-სამართლებრივ ვითარებს. ამ ინფორმაციით მოსწავლეს გარკვეული შეხედულება უნდა შეექმნას მის სახელმწიფოზე, მის პერსპექტივაზე, სიმწიფეზე, იმ ალტერნატივაზე, რომლის წინაშეც ყოველთვის დგას მისი ქვეყანა და პიროვნებაც დემოკრატიული პროცესების განვითარების კვალობაზე, იმ არჩევანზე, რომელიც მან უნდა გააკეთოს არჩევნებზე, იმ საქმიანობაზე, რომელიც მას სურს განახორციელოს და ამ პროცესში არ დაარღვიოს ქვეყნის კანონმდებლობა, პირიქით, ყოველგვარი სურვილი აისრულოს კანონმდებლობის დაცვითა და გამოყენებით. მაგრამ სოციალური ნორმები ყოველთვის არაა ასახული კანონმდებლობაში. ბევრი მათგანი დაუწერელი სახით არსებობს, რომლებიც ტრადიციის მეშვეობით თაობიდან თაობას გადაეცემა. ამ ტრადიციული ნორმებით ანუ ეტიკეტით მოცემული ერის ფასეულობანი გადმოიცემა. ამიტომაც საჭიროა ტრადიციული და საერთაშორისო ეტიკეტის გარკვეულწილად “მოქალაქეობათ-მცოდნეობის” კურსში ჩართვა.

ადამიანის ბედნიერება რომ სრულფასოვანი იყოს, მას ამისათვის გარჯა უწევს, რომ შექმნას ის, რაც არ გააჩნია. ამიტომ ადამიანის სხვა ადამიანებთან კავშირი გარკვეულწილად ეს არის მატერიალური დოვლათის საწარმოებლად გაერთიანებული აუცილებლობა. ასე რომ, როგორც ცნობილია, ადამიანი საწარმოო ურთიერთობისა და წარმოების შემქმნელი არსებაა. სწორედ შრომითი ურთიერთობაა ადამიანთა საზოგადოების ერთ-ერთი ქვაკუთხედი. რა უნდა გააკეთოს, როგორ უნდა გააკეთოს, ვისთან ერთად უნდა გააკეთოს და ა.შ. ადამიანმა, რომ მან საწადელი აისრულოს? ამ კითხვებზე მოსწავლეს პასუხი უნდა მოაძებნინოს და სწორი მოქალაქეობრივი ორიენტირი დაუსახოს იმ ნაწილმა, რომელიც ეკონომიკის საკითხებით იქნება შედგენილი.

თანამედროვე სკოლისადმი დამოკიდებულებას თუ დავაკვირდებით, ერთი გარემოება უცხად გვეცემა თვალში - ესაა მეცნიერების თითქმის ყველა დარგის სკოლაში შეტანის მცდელობა. დღეს, სრულიად სამართლიანად, პოპულარულია ეკოლოგიის საკითხებზე საუბარი. უმაღლეს სასწავლებლებში ბევრ ფაკულტეტზე იკითხება შესაბამისი კურსი. სკოლაში კი ეკოლოგიის ცალკე საგანი საჭირო არ არის, მაგრამ სამოქალაქო აღზრდისა და განათლების პროცესში ეკოლოგიის საკითხები აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული. (ცალკე მსჯელობის საგანია, თუ რა საკითხები უნდა ასახოს თავისთან “გეოგრაფიამ”, რა “ბიოლოგიამ” და რა “მოქალაქეთმცოდნეობამ”. კარგადაა შენიშნული, რომ “თანამედროვე მოქალაქე კომპერტენტური უნდა იყოს ეკოლოგიის საკითხებში, რადგან ხშირად სახელმწიფო თუ

ადგილობრივი პრობლემების მოგვარების შესაძლო გზების არჩევისას გადაწყვეტილებას, განსაკუთრებით სწორედ მისი მიზანშეწონილობა განსაზღვრავს”¹².

მაშასადამე, ეკოლოგიის თემა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის პრიზმაში ფგურირებს. საკითხის ასე დასმას ამართლებს ცნობილი ბიოლოგ-ეთოლოგის, ნობელის პრემიის ლაურეატის კ. ლორენცის შემდეგი მსჯელობა: “გლახმა იცის ის, რომ მთელი პლანეტის სასიცოცხლო მარაგი ამოუწურავი როდია.. ცივილიზებული კაცობრიობა თავის გარემომცველ და მარჩენალ ცოცხალ ბუნებას, ბრმად და ბარბაროსულად რომ აჩანაგებს, ამით საკუთარ თავს აყენებს ეკოლოგიური განადგურების საფრთხის წინაშე. ყველაზე ნაკლებად კი კაცობრიობა იმას ამჩნევს, ეს ბარბაროსული პროცესი რა ძლიერ ვნებს მის საკუთარ სულს. ცოცხალ ბუნებისაგან საყოველთაო და მზარდ გაუცხოებას დიდი ბრალი მუძღვის ცივილიზებული ადამიანის ესთეტიკურ და ეთიკურ გაუხეშებაში. ტოტალური სულიერი სიბრმავე ყოველივე მშვენიერების მიმართ, რომელიც დღეს-დღეობით ასე სწრაფად იკიდებს ფეხს, სულიერი დაავადებაა, რომელსაც თუნდაც იმიტომ უნდა მოვეკიდოთ მთელი სერიოზულობით, რომიგი ეთიკურად მიუღებელის მიმართ უგრძნობლობას ამკვიდრებს.”

საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და

გადამზადების ცენტრალურ ინსტიტუტში არსებობს უახლესი პედაგოგიური ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვის ლაბორატორია, რომელიც ძალიან წარმატებულად საქმიანობს. მათ შორის ცალკე აღნიშვნის ღირსია ამ ლაბორატორიის თანამშრომლის ბატონ გია ნოზაძის მიერ მომზადებული კონცეფცია, რომელიც მეტად აქტუალურ სიახლეს წარმოადგენს და მას ეწოდება “ჯანსაღი ცხოვრების წესის და სასიცოცხლო უნარ-ჩვევების სწავლება საქართველოს საშუალო ზოგადსაგანმამათლებლო სკოლებში”. მასში ვკითხულობთ: “დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება საჭიროებს ისეთი თავისუფალი, დამოუკიდებელი პიროვნების აღზრდას, რომელიც კონკურენტუნარიანი და პროდუქტიული იქნება სწრაფცვალებად სამყაროში, გლობალიზაციისა და ტექნოლოგიურ-ინფორმაციულ ეპოქაში. ასეთი პიროვნების განვითარების აუცილებელი პირობაა ღირებულებების, უნარ-ჩვევებისა და ცოდნის ერთიანობა. უნარ-ჩვევებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასიცოცხლო უნარ-ჩვევები, როგორც ადექვატური ქცევის საფუძველი. სასიცოცხლო უნარ-ჩვევები ადაპტაციურ და პოზიტიურ ქცევაში გამოხატული ის უნარ-ჩვევებია, რომელთა საშუალებითაც შეიძლება ადამიანს ცხოვრებისეულ მოთხოვნებსა და ყოფით პრობლემებთან გამკლავება»¹³.

ამ მეტად საინტერესო და მნიშვნელოვან ნაშრომში ნათქვამია რომ „ჯანსაღი ცხოვრების წესის და სასიცოცხლო უნარ-ჩვევების სწავლება განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს საქართველოში. ჩვენს საზოგადოებაში, სამწუხაროდ, არაჯანსაღი ცხოვრების წესია გაბატონებული . . . ამჟამად იგრძნობა მოქალაქეობრივი შეგნების დეფიციტი საზოგადოების ყველა ფენაში».

¹² ზ. კიკვიძე, თ. მეიფარიანი, ი. ჯალაღანია . . . გვ. 5

¹³ ეს ნაშრომი გამოქვეყნებული არ არის. ვსარგებლობ ხელნაწერიდან ბატონ გ. ნოზაძის ნებართვით, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებ

ამ საკითხების გადმოცემისას მოქალაქე საზოგადოებასთან მჭიდრო კავშირში განიხილება. მიუხედავად ამისა, სახელმძღვანელოს სჯობს მაინც “მოქალაქეთმცოდნეობა” ეწოდოს და არა “საზოგადოებათ-მცოდნეობა”. ეს არც ახირებაა და არც სახელწოდებათა უბრალო

ცვლა. “მოქალაქეთმცოდნეობა” «საზოგადოებათმცოდნეობისაგან”

განსხვავებით არის ადამიანთან დაკავშირებული პრობლემების საწინააღმდეგო მხრიდან დანახვა. რუსეთში “მოქალაქეობათმცოდნის” საგნის დანერგვის ერთ-ერთი ინიციატორი ა. ნიკიტინი წერდა:

“პედაგოგთაგან ყველა ვერ აცნობიერებს, რომ მშვიდობა, განიარაღება, განვითარება და ადამიანის უფლებები ურთიერთდაკავშირებული ცნებებია. ბევრი თვლის, რომ თავდაპირველად მოსწავლეებმა უნდა აითვისონ მოვალეობანი, შემდეგ კი უფლებები. ამაშია არა მათი დანაშაული, არამედ უბედურება, რადგან თვითეულ ჩვენთაგანს წარსულ წლების მანილზე გვინერგავდნენ, რომ საზოგადოებრივი მაღლა დგას პირადულზე, რომ სახელმწიფოს ინტერესები უფრო მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანის ინტერესთან შედარებით, მთელს მსოფლიოში მიღებული ადამიანის უფლებათა კონცეფციას საფუძვლად უდევს ფორმულა: ადამიანის უფლებები აბსოლუტურია, სახელმწიფოს უფლებები შეფარდებითი (ხაზგასმა ყველგან ჩემია, დ.ს.) საკმაო პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურის დონეა საჭირო, რომ გავიგოთ - ეს არ არის ანარქიული დევიზი, არამედ დემოკრატიული ცნობიერების ელემენტარული მსჯელობაა” (ა. ნიკიტინი) ასე, რომ “საზოგადოებათმცოდნეობისაგან” განსხვავებით “მოქალაქეთ-მცოდნეობის” არჩევისას აქცენტი საზოგადოებიდან (ზოგადიდან) მოქალაქეზე (კონკრეტულზე) კეთდება. ამდენად, “მოქალაქეობათ-მცოდნეობა” არ უნდა იყოს თეორიულ-აბსტრაქტული კურსი, არამედ პრაქტიკულ-კონკრეტული.

ამგვარი დანიშნულების საგნები დიდი ხანია არსებობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში (საფრანგეთი, გერმანია, ჩეხეთი, უნგრეთი, ჩინეთი, ნიდერლანდები, დიდი ბრიტანეთი და ა.შ.) ნიდერლანდებში მას ეწოდება Naatschappigleers (ბუკვალურად „სოციოლოგია», „საზოგადოებათ-მცოდნეობა»). გერმანიაში ჰქვია Bürgerkunde (Bürger მოქალაქე და kund უწყება, ცნობა) რაც შეიძლება ვთარგმნოთ როგორც “მოქალაქეობათ-მცოდნეობა”. რუსეთში შემოღებულ საგანს Граждановедение ეწოდება რაც აგრეთვე “მოქალაქეობათმცოდნეობად” ითარგმნება. ინგლისურ-ენოვან ქვეყნებში კი ხმარებაშია ტერმინი citizenship, რომელიც სამოქალაქო აღზრდას გულისხმობს.

მისასაღმებელია, რომ თანამედროვე ქართულ სკოლებში ინერგება ეს სასწავლო დისციპლინა.

ამრიგად, ამ მეტად საჭირო საქმის განხორციელების გზაზე პირველი დიდი ნაბიჯი გადადგმულია - არსებობს განათლების სამინისტროს მიერ მომზადებული პროექტი ახალი საგნის თაობაზე და იქნება პირველი სახელმძღვანელოები. მაგრამ საქმე ბოლომდე რომ მივიდეს, საჭიროა კიდევ ერთი კომპონენტის მოგვარება - ესაა შესაბამისი საგნის პედაგოგი. პედაგოგთა რიგები მუდამ განახლებას განიცდის. ამიტომ ახალი საგნის სწავლება პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების მეთოდით არ იქნება დამაკმაყოფილებელი. საჭირო იქნება სათანადო კვალიფიკაციის კადრების მომზადება, რისთვისაც საჭიროა შეიქმნას პედაგოგიურ უნივერსიტეტში მაგისტრატურა, სადაც ისტორიისა და გეოგრაფიის სპეციალობის ბაკალავრები გაივლიან სათანადო კურსებს,

როგორც პედაგოგიური ისე სამოქალაქო განათლების პროფილით და ჩამოყალიბდებიან ახალი სასწავლო დისციპლინის კვალიფიციურ პედაგოგებად.

საქართველო მრავალეროვანი ქვეყანაა და “მოქალაქეობათ-მცოდნეობის” სწავლებისას საჭირო იქნება მოგვარდეს ერთი დელიკატური საკითხი. ესაა სწავლების ენა. საბჭოთა მემკვიდრეობა ამ მხრივ არასახარბიელო ვითარებას ქმნის, რადგან ჩვენთან არსებობს არაქართული, ფაქტობრივად რუსული სკოლები.

სამოქალაქო თვითშეგნების გამომუშავებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ენას. პიროვნება რომელ ენაზეც იღებს განათლებას, იმ ენას მოიხმარს მთელი ცხოვრების მანძილზე, არამარტო ყოფით ურ-თიერთობაში, არამედ საერთოდ - იმ ენით აზროვნებს და აღიქვამს გარე სამყაროს. ამის კარგი მაგალითია საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ერის წარმომადგენლები, რომლებსაც განათლება რუსულ ენაზე აქვთ მიღებული. მათი მსოფლმხედველობა რუსული კულტურით და რუსული მენტალიტეტითაა გაჯერებული.

ამრიგად, სწავლების ენა ფაქტობრივად საგანმანათლებლო იდეოლოგიას ქმნის და იგი თავსდება ან ეწინააღმდეგება სახელმწიფო საშინაო პოლიტიკას. ჩვენს შემთხვევაში არაქართულ ენაზე სწავლება ე.წ. რუსულენოვანი კონტიგენტის შემქმნელია, რომელიც მართალია სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებისაგან შედგება, მაგრამ მათ აერთიანებთ გაუცხოების გრძნობა ქართულ ენასთან და კულტურასთან. ამრიგად, ისინი ხშირად საქართველოს სახელმწიფოს მეხუთე კოლონის როლში გამოდიან ხოლმე. ამიტომ შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე საჭიროა ფრთხილი მოქმედება. სასურველი მიმართულების პირველი მარცვალი უკვე არსებობს. ესაა ქართული ენის სწავლება არაქართულ სკოლებში, რომლის სწავლების ხარისხი კიდევ უფრო უნდა გაუმჯობესდეს, როგორც სახელმწიფო ენისა, ასევე საჭიროა თანდათანობით ქართულ ენაზევე დაინერგოს საქარველოს ისტორიისა და საქართველოს გეოგრაფიის სწავლებაც. რაც შეეხება “მოქალაქეთმცოდნეობას”, რომელიც სრულიად ახალი საგანი იქნება, თავიდანვე ქართულ ენაზე უნდა ისწავლებოდეს.

მთელს საქართველოში ერთგვაროვანი სამოქალაქო თვითშეგნების ფორმირება რომ დაჩქარდეს პედაგოგიურ უნივერსიტეტსა და სკოლას შორის უნდა დამყარდეს მჭიდრო ურთიერთობა. უნივერსიტეტმა არა მარტო უნდა უზრუნველყოს სკოლა კადრებით, არამედ მისი ფუნქცია უნდა გაიზარდოს და კადრების აღზრდა ერთჯერად აქტი არ უნდა იყოს. მეტად შედეგიანი იქნებოდა თუ კი პოტენციალი, რომელიც სწორედ ამ კადრებს ზრდის, შემდეგშიაც ჩართული იყოს პედაგოგთა უკვე პრაქტიკულ საქმიანობაში. ერთ-ერთ ფორმად ამ თვალსაზრისით შეიძლება დავასახელოთ სხვადასხვა სასწავლო მასალებით მათი მომარაგება. ასეთი რამ აქ მოღვაწე პროფესორმასწავლებლებს ხელეწიფებათ. ეს ზოგადად, კონკრეტულად კი სამოქალაქო აღზრდისა და განათლების თვალთახედვით კი კარგი იქნებოდა ყოველწლიური მოსწავლეთა კონფერენცია ჩატარებულიყო წინასწარგამოცხადებულ სამოქალაქო თემატიკაზე. მთელი მუშაობა რამოდენიმე ეტაპს გაივლიდა: სასკოლო, საქალაქო, რაიონული, რეგიონალური და ბოლოს ეროვნული (სახელმწიფოებრივი), რომელიც 26 მაისს - საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს აღინიშნებოდა და ამ დღეს მოხდებოდა გამარჯვებულთა დაჯილდოება. კონფერენციის რამოდენიმე დონედ ჩატარება მუდმივ დაძაბულ რიტმში ჩააყენებს სკოლას, როგორც პედაგოგს, ისე მოსწავლესაც. იგი კი

აუცილებლად გამოიღებს შედეგს - მას ექნება გავლენა მოსახლეობის არასასკოლო კონტიგენტზეც. ოღონდ რაც მთავარია არ უნდა იქნეს დაშვებული ფორმალიზმი.

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. შესავალი;
2. ვინ განაპირობებს საზოგადოებრივ კეთილდღეობას?;
3. რაში მდგომარეობს პრობლემის არსი;
4. რას წარმოადგენს საგანი «მოქალაქეობათმცოდნეობა».

ნაშრომი დაბეჭდილია
სპს «ჩაბიჩაძე და კომპანიის მიერ»
ტირაჟი 100 ცალი